## ხელშეკრულება № 98
## სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

19 დეკემბერი 2016 წელი

ერთის მხრივ, ა(ა)იპ "ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის კომპლექსური სპორტული სკოლა" (შემდგომში – „შემსყიდველი") წარმოდგენილი დირექტორის ზესიკ გიორგაშვილის სახით და მეორეს მხრივ შ.პ.ს. სუპერი, წარმოდგენილი მისი დირექტორის ივანე ხუხუაშის სახით (შემდგომში - „მიმწოდებელი"), ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს1" ქვეპუნქტით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

### I. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანია: ადგილობრივი ბიუჯეტიდან სუბსიდიის წესით ა(ა)იპ „გორის მუნიციპალიტეტის კომპლექსური სპორტული სკოლისთვის" გამოყოფილი სახსრებით ბაინდერების საახალწლო ნაძვის ხის და ნაძვის ხის სათამაშოების შესყიდვა. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, შესყიდვის საშუალებაა გამარტივებული შესყიდვა.

### 2. შესყიდვის ობიექტი

2.1 შესყიდვის ობიექტია:

| № | CPV კოდი | საქონლის დასახელება | რაოდენობა | ფასი | სრ.ფასი |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | 37520000 | 1*6 პლასტმ ბურთი წითელი ფიფქებით 8სმ | 1 | 7.6 | 7.6 |
| 2 | 37520000 | 1*6 პლასტმ ბურთი ბზინავი შამპანიურისფერი 7სმ | 1 | 4.9 | 4.9 |
| 3 | 37520000 | დეკორატიული ნაძვის ხის ფიფქი წვერზე დასაკიდი თეთრიფერი 22სმ | 1 | 9.4 | 9.4 |
| 4 | 37520000 | 1*6 პლასტმ ბურთი ოქროსფერი ხაზებით 6სმ | 1 | 3.9 | 3.9 |
| 5 | 31522000 | საახალწლო ნაძვის ხის განათება თეთრი 100ნ 4.5მ | 1 | 8.9 | 8.9 |
| 6 | 37520000 | საახალწლო დეკორატიული დასაკიდი სათამაშო თოვლის ბაბუ | 1 | 7.5 | 7.5 |
| 7 | 37520000 | საახალწლო დასაკიდი სათამაშო ბრჭყვიალა ფოლაქებით 8სმ | 1 | 2.7 | 2.7 |
| 8 | 37520000 | საახალწლო დეკორატიული გირჩა დასაკიდი 11*4.5სმ | 1 | 5.7 | 5.7 |
| 9 | 37520000 | საახალწლო დასაკიდი ბრჭყვიალა ყვავილი 16სმ | 1 | 2.1 | 2.1 |
| 10 | 37520000 | საახალწლო დასაკიდი ბრჭყვიალა კაბა 14*15სმ | 1 | 2.1 | 2.1 |
| 11 | 37520000 | საახალწლო დეკორატიული ნჯარა ბრტყელი ვერცხლისფერი გაზის ბაფთით 4" | 2 | 6.8 | 13.6 |
| 12 | 37520000 | საახალწლო დეკორატიული დასაკიდი სურათი ჩარჩოში 10სმ | 1 | 7.9 | 7.9 |
| 13 | 37520000 | საახალწლო ბრჭყვიალა სათამაშო 15*11სმ | 1 | 2.9 | 2.9 |
| 14 | 37520000 | დასაკიდი ფიფქი ბრჭყვიალა ოქროსფერი, ვერცხლისფერი, წითელი, თეთრი | 1 | 2.1 | 2.1 |
| 15 | 37520000 | საახალწლო დეკორატიული დასაკიდი ბურთი ღია ოქროსფერი 8სმ | 2 | 5.5 | 11 |
| 16 | 39298910 | 1.2მ ნაძვი პლასტ ძირით ვრეპი | 1 | 54.9 | 54.9 |
| 17 | | | სრული ღირებულება | | 147.2 |

### 3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

3.1. შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ეროვნულ ვალუტაში (ლარი).

3.2. შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება არის – 147.2 (ასორმოცდაშვიდი ლარი და ოცი თეთრი) ლარი, დ.ღ.გ-ს და სხვა გადასახადების ხარჯების ჩათვლით.

### 4. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

4.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ შესყიდვის ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

### 5. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები, ადგილი და პირობები

5.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან 5 (ხუთი) კალენდარულ დღეში.

5.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია: გორი, სტალინის #10

5.3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა შემსყიდველისათვის.

### 6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც დადასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერებით)

### 7. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

7.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში.

7.2. შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით.

7.3. ანგარიშსწორება შემსყიდველთან საქონლის მოწოდების შემდგომ მოხდება 5.3. მუხლში მითითებული დოკუმენტაციის წარმოდგენიდან არაუმეტეს 10 (ათი) კალენდარული დღისა.

### 8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

8.1. შემსყიდველს უფლება აქვს: - შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

8.2. შემსყიდველი ვალდებულია: - მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად; - უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება.

8.3. მიმწოდებელს უფლება აქვს:- მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

8.4. მიმწოდებელი ვალდებულია:- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა

## 9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

9.1 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2 თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

9.3. ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

9.4. ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

9.5. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ვალდებულების შესრულების ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,2%-ის ოდენობით.

## 10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან და მოქმედებს 2017 წლის 30 იანვრის ჩათვლით.

## 11. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

11.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## 12. ფორს-მაჟორი

12.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

12.2. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა ერთ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

12.3. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

## 13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

13.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

13.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

## 14. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

14.1. შემსყიდველი უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

14.2. საქონლის ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს ორგანიზაციის დირექტორი.

14.3. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიზეზების მითითებით.

14.4. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## 15. სხვა პირობები

15.1. მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

15.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

15.3 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

15.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

15.5 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

## 16. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

| შემსყიდველი | მიმწოდებელი |
|---|---|
| ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის კომპლექსური სპორტული სკოლა | შ.პ.ს. სუპერო |
| ს.კ.: 417882857 | ს.კ.: 205050905 |
| მის: ქ.გორი, მშვიდობის გამზ#12ა | მის.: ქ.თბილისი კოსტავას #23 |
| ბანკი: სახელმწიფო ხაზინა | ბანკი: სს"თიბისი ბანკი" |
| ბანკის კოდი: TRESGE22 | ბანკის კოდი: TBCBGE22 |
| ა.ა. ხაზინის ერთიანი ანგარიში | ა.ა.: GE28TB1100000108467517 |
| დირექტორი: ბესიკ გიორგაშვილი | დირექტორი: ივანე ხაზარაძე |

## მიღება-ჩაბარების აქტი#98
### (ხელშეკრულების პირობების შერულების შესახებ)

გორი 19 დეკემბერი 2016 წელი

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ, ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის კომპლექსური სპორტული სკოლა (შემდგომში – შემსყიდველი) წარმოდეგენილი მისი დირექტორის *ბესიკ გიორგაშვილის* სახით (საიდენტიფიკაციო კოდი *417882857)* და მეორეს მხრივ შ.პ.ს. სუპერი წარმოდგენილი მისი დირექტორის ივანე ხაზარაძის სახით ვადგენთ წინამდებარე აქტს მასზედ, რომ 2016 წლის 19 დეკემბერს გაფორმებული ხელშეკრულების სახელმწიფო შესყიდვების შესახებ (მომსახურების შესყიდვა) მოთხოვნათა შესაბამისად „მიწოდებელმა" მიჰყიდა:

| № | CPV კოდი | საქონლის დასახელება | რაოდენობა | ფასი | სრ.ფასი |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | 37520000 | 1*6 პლასტმ ბურთი წითელი ფიფქებით 8სმ | 1 | 7.6 | 7.6 |
| 2 | 37520000 | 1*6 პლასტმ ბურთი ბზინავი შამპანიურისფერი 7სმ | 1 | 4.9 | 4.9 |
| 3 | 37520000 | დეკორატიული ნაძვის ხის ფიფქი წვერზე დასაკიდი თეთრიფერი 22სმ | 1 | 9.4 | 9.4 |
| 4 | 37520000 | 1*6 პლასტმ ბურთი ოქროსფერი ხაზებით 6სმ | 1 | 3.9 | 3.9 |
| 5 | 31522000 | საახალწლო ნაძვის ხის განათება თეთრი 100ნ 4.5მ | 1 | 8.9 | 8.9 |
| 6 | 37520000 | საახალწლო დეკორატიული დასაკიდი სათამაშო თოვლის ბაბუ | 1 | 7.5 | 7.5 |
| 7 | 37520000 | საახალწლო დასაკიდი სათამაშო ბრჭყვიალა ფოლაქებით 8სმ | 1 | 2.7 | 2.7 |
| 8 | 37520000 | საახალწლო დეკორატიული გირჩა დასაკიდი 11*4.5სმ | 1 | 5.7 | 5.7 |
| 9 | 37520000 | საახალწლო დასაკიდი ბრჭყვიალა ყვავილი 16სმ | 1 | 2.1 | 2.1 |
| 10 | 37520000 | საახალწლო დასაკიდი ბრჭყვიალა კაბა 14*15სმ | 1 | 2.1 | 2.1 |
| 11 | 37520000 | საახალწლო დეკორატიული ნჯარა ბრტყელი ვერცხლისფერი გაზის ბაფთით 4" | 2 | 6.8 | 13.6 |
| 12 | 37520000 | საახალწლო დეკორატიული დასაკიდი სურათი ჩარჩოში 10სმ | 1 | 7.9 | 7.9 |
| 13 | 37520000 | საახალწლო ბრჭყვიალა სათამაშო 15*11სმ | 1 | 2.9 | 2.9 |
| 14 | 37520000 | დასაკიდი ფიფქი ბრჭყვიალა ოქროსფერი, ვერცხლისფერი, წითელი, თეთრი | 1 | 2.1 | 2.1 |
| 15 | 37520000 | საახალწლო დეკორატიული დასაკიდი ბურთი ღია ოქროსფერი 8სმ | 2 | 5.5 | 11 |
| 16 | 39298910 | 1.2მ ნაძვი პლასტ ძირით ვრეპი | 1 | 54.9 | 54.9 |
| 17 | | | | სრული ღირებულება | 147.2 |

რაზედაც "შემსყიდველმა" "მიმწოდებელს" უნდა ჩაურიცხოს 147.20 (ასორმოცდაშვიდი ლარი და ოცი თეთრი) ლარი აქტის სისწორეს ვადასტურებთ ხელმოწერებით:

შემსყიდველი

/ბ. გიორგაშვილი/

მიმწოდებელი

/ი.ხაზარაძე/